

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

30 მარტი 2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **თამარ ჩუბინიძის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულების 10.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №04/7782 (სააგენტოში რეგისტრაციის №43895, 16.03.2020წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებულ №14/02-217 ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge); მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი - **ირაკლი მაისაია** (მობ.: 591440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dea.gov.ge); სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ.: 577178877; ელ-ფოსტა: ieliashevili@moh.gov.ge); სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ-ფოსტა: zbatiashevili@moh.gov.ge)“.

2.2 ხელშეკრულების 7.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge), ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ტელ.: 577944991; ელ-ფოსტა: zbatiashevili@moh.gov.ge)“.

2.3 ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 23 დეკემბრიდან და ძალაშია 2021 წლის 22 აპრილის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

- 3.1 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 3.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 3.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

- 4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, 0154, ავ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.
- 4.2 სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. №17, ს/კოდი 204577699.
- 4.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, ავ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.
- 4.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, ავ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.